



7 სექტემბერი, 2021


მნიშვნელოვანი თარიღები

15 სექტემბერი

მშობლებთან ზემის შეხვედრები MYP პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით (6-10 კლასების მშობლები)

21 სექტემბერი

მსოფლიო მშვიდობის დღე



მშობელთა და მოსწავლეთა ვაქცინაციის სტატუსი

მადლობა ყველა მშობელს, ვინც ვაქცინაციის სტატუსთან დაკავშირებით 24 აგვისტოს გამოგზავნილი კითხვარი შეავსეთ. თუ ჯერ-ჯერობით კვლავ არ შეგიყვანიათ ვაქცინაციის შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ, პარასკევს, 10 სექტემბრის დღის ბოლომდე შეგვივსოთ. კითხვარის შევსებას მხოლოდ რამდენიმე წუთი სჭირდება: <https://forms.gle/>



ძვირფასო მშობლებო,

სიამოვნებით გაგაცნობთ ჩვენი სკოლის მნიშვნელოვან ამბებს ბრიტანულ-ქართული აკადემიის 2021-22 სასწავლო წლის სიახლეების პირველი წერილით. წელს აკადემიაში ძალიან ბევრი სასიამოვნო სიახლე გვაქვს დაგეგმილი, რომელთა შესახებაც ყოველ ორ კვირაში საინფორმაციო წერილის საშუალებით პირადად გიამბობთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით ფიზიკურ გარემოში ერთმანეთთან შეხვედრის შესაძლებლობა არ გვაქვს, წინა კვირას აკადემიური წელი მოსწავლეებმა ძალიან მობილიზებულად, ენერგიულად და მხიარულად დაიწყეს. მადლობა თქვენ, მშობლებს, იმისათვის, რომ მოსწავლეებს ყველა პირობას უქმნით სახლში დისტანციური სწავლების ფორმატში სრულფასოვნად ჩართვისათვის.

მარიამ შურღაია
აკადემიური დირექტორი


აკადემიური კალენდარი

როგორც ალბათ უკვე იცით, ახალი სამთავრობო რეგულაციების მიხედვით, 4 ოქტომბრამდე სკოლები დისტანციური სწავლების ფორმატზე რჩებიან. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება 11-15 ოქტომბრის არდადეგები 27 სექტემბერი - 1 ოქტომბრის კვირაში გადმოვწიოთ, რათა გავახანგრძლივოთ კამპუსზე გატარებული დღეების რაოდენობა და თავიდან ავიცილოთ მოსწავლეების კამპუსზე ერთი კვირით დაბრუნება და შემდეგ კვლავ არდადეგები.

ასევე, გაითვალისწინეთ, რომ პირველი სემესტრი, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, წელს 4 თებერვალს დამთავრდება, რათა სემესტრებს შორის სასწავლო დღეების რაოდენობა თანაბრად გადანაწილდეს. იანვრის არდადეგების შემდეგ, 11 იანვარი - 4 თებერვლის პერიოდი 6-12 კლასების მოსწავლეებისათვის დაეთმობა პირველი სემესტრის დამამთავრებელი გამოცდების პერიოდს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 4 ოქტომბრის შემდეგ სასწავლო პროცესის დისტანციური სწავლების ფორმატით გაგრძელების შემთხვევაში, 6-12 კლასების მოსწავლეებს 25-29 ოქტომბრის კვირაში მოუწევთ სკოლის კამპუსზე მოსვლა გარკვეულ საგნებში გამოცდების დასაწერად.

გთხოვთ იხილოთ განახლებული აკადემიური კალენდარი.



კომუნიკაცია მოზღვანთა

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი გახლავთ მაქსიმალურად შევავსოთ სკოლასა და მშობლებს შორის სკოლის კამპუსზე ფიზიკური კონტაქტის ნაკლებობით გამოწვეული დანაკლისი. 31 აგვისტოს მშობელთა შეხვედრებმა დანებებით საფეხურის ხელმძღვანელსა და ინდივიდუალურ მასწავლებლებთან, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე მშობელთა შეხვედრებმა საფეხურისა და კათედრის ხელმძღვანელებთან წარმატებით ჩაიარა. პირადად მე, ასევე საფეხურის ხელმძღვანელებს ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა ინდივიდუალურ მშობლებთანაც მათი წინასწარი თხოვნის საფუძველზე. მომავალში აქტიურად გავაგრძელებთ მშობლებთან ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრებს. თქვენი უკუკავშირი და ინიციატივები სასწავლო პროცესის უწყვეტი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.



აქაც გიზიარებთ მშობლებთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ.


ბრიტანულ-ქართული აკადემიის 2021 წლის მეთორმეტე კლასელების წარმატება

გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი შარშანდელი მეთორმეტე კლასელების წარმატება - ყველა ჩვენმა მოსწავლემ ჩააბარა მათთვის სასურველ უნივერსიტეტში, როგორც საქართველოში (კავკასიის უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი და ა.შ.) ასევე, საზღვარგარეთ (ლაიფციგის უნივერსიტეტი). კურსდამთავრებულთა 90%-მა მოიპოვა სწავლების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.



დისტანციური სწავლების მოდელი ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში

ბრიტანულ-ქართული აკადემიის დისტანციური სწავლების სისტემის მთავარი ამოცანაა სწავლა-სწავლების პროცესი უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდეს და შესრულდეს სასწავლო წლის განმავლობაში დასახული მიზნები. აღნიშნული ამოცანის მიღწევას დისტანციური სწავლების პროცესში სამი მეთოდის ინტეგრაციას უზრუნველყოფთ:



- 1. ცოცხალ რეჟიმში წარმართული გაკვეთილები** - გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზუმის ფორმატში მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრება ჩვეულებრივ აისახება ედუფიკაში. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გამონაკლის შემთხვევებში ვერ ესწრება ცოცხალ რეჟიმში წარმართულ გაკვეთილებს, ამის შესახებ, მშობელმა პირველივე შესაძლებლობისთანავე ელექტრონული ფოსტის საშუალებით (bga@bga.ge) უნდა აცნობოს სკოლას.
- 2. წინასწარ ჩანერილი გაკვეთილები** - ცხრილით გათვალისწინებული ვიდეოგაკვეთილის ყურებისა და ამ ვიდეოში მოცემული დავალებების შესრულებას მოსწავლემ, საშუალოდ, 40 წუთი უნდა დაუთმოს.
- 3. დამატებითი აქტივობები** - დამატებითი აქტივობები მოსწავლეებს ვიდეოგაკვეთილების საშუალებით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები ცდილობენ, რომ როცა შესაძლებელია, დამატებითი აქტივობები ეკრანს მიღმა შესასრულებელი დავალებები იყოს, მაგ. ნასწავლი მასალის შეჯამება პოსტერის სახით; ინტერვიუ ოჯახის წევრებთან; სამეცნიერო ექსპერიმენტი; გარკვეული პასაჟების ნაკითხვა წიგნიდან და სხვ.

დამატებით ინფორმაციას დისტანციური სწავლების მოდელის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ [აქ](#).

მარიამ შურღაია აკადემიური დირექტორი



ჯოშუა გარნერი
საბაზო-საშუალო საფეხურის (6-12 კლასების) ხელმძღვანელი
ლინდა ციციშვილი
IB პროგრამების კოორდინატორი, 9-10 კლასების ხელმძღვანელი
ლელა ქისტაური
დანებებითი საფეხურის (სკოლამდელი განათლების ცენტრი და 1-5 კლასები) ხელმძღვანელი
ლალი გელაშვილი
6-8 კლასების ხელმძღვანელი

სალომე დანელია
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
თათია მამაცაშვილი
ადამიანური რესურსების კოორდინატორი
ნონა სურგულაძე
მარკეტინგისა და კომუნიკაციების კოორდინატორი
თამთა წერეთელი
ადმინისტრაციული ასისტენტი
თათია ტაბატაძე
გადახდების მონიტორინგის ოფიცერი